<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, 17/03/2014) **შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:**

1. მე–15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ზ) მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე და შვილზე.

2. მე–15 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თ) საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 500 000 დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობის ინვესტიცია „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამ ინვესტიციის ფარგლებში არანაკლებ 50 საქართველოს მოქალაქე დაასაქმა. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის უცხოელის ოჯახის წევრებად ითვლებიან მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და მის სრულ კმაყოფაზე მყოფი მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი, აგრეთვე მის სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ არის ცნობილი;

3. მე–15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს:

კ) მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.

4. მე–16 მუხლის 1–ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ამ კანონის მე-15 მუხლის „ა“–„ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვები უცხოელზე შეიძლება გაიცეს არაუმეტეს 6 წლის ვადით.

5. მე–16 მუხლის მე–3 პუნქტი ამოღებულ იქნეს:

3. ამ კანონის მე-15 მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვები გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით.

6. მე–16 მუხლის „3[1]“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს:

3[1]. ამ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა უცხოელზე შეიძლება გაიცეს 1 წლის ვადით. აღნიშნული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა წყდება, თუ უცხოელს შეუწყდება შესაბამის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება.

7. მე–16 მუხლის მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. დროებითი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვები გაიცა.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**